ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედება, რომლისთვისაც არ არის დადგენილი შესაბამისი ნორმატივები, შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ნებართვებით, რომლებსაც გარკვეული ვადით გასცემენ სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები. ამ ვადის განმავლობაში უნდა დადგინდეს მავნე ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები შესაბამისი ნორმატივები და განხორციელდეს ატმოსფერული ჰაერის დაცვის საჭირო ღონისძიებანი.

მუხლი 46. საწარმოო საჭიროებებისათვის ატმოსფერული ჰაერის მომხმარებელი ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობისადმი მოთხოვნები

საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების დაპროექტებისას, აგრეთვე ტექნოლოგიური პროცესებისა და მოწყობილობის შექმნისა და სრულყოფის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოო საჭიროებისათვის ატმოსფერული ჰაერის მინიმალურ აუცილებელ მოხმარებას.

მუხლი 47. საწარმოო საჭიროებებისათვის ატმოსფერული ჰაერის მოხმარების შეზღუდვა

ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებს შეუძლიათ შეზღუდონ, შეაჩერონ ან აკრძალონ ჰაერის მოხმარება საწარმოო საჭიროებებისათვის იმ შემთხვევაში, როცა ეს იწვევს ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის ცვლილებებს, რომლებიც მავნე ზემოქმედებას ახდენენ ადამიანთა ჯანმრთელობაზე, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროზე.

მუხლი 48. ამინდსა და ჰავაზე ზემოქმედების მოწესრიგება

მოქმედება, რომელიც მიმართულია სახალხო-სამეურნეო მიზნით ატმოსფეროს მდგომარეობისა და ატმოსფერული მოვლენების ხელოვნურად შესაცვლელად, შეიძლება განხორციელდეს სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ მხოლოდ სისტემატური ინფორმაციითა და პროგნოზებით სამეურნეო საქმიანობისა და მეტეოროლოგიური პირობების გავლენით ატმოსფეროს გაჭუჭყიანების დონეთა შესახებ.

მუხლი 53. ღონისძიებათა განხორციელება ატმოსფერული ჰაერის ისეთი მდგომარეობის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას

თუ მეტეოროლოგიური ფაქტორების, ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა განაფრქვევისა და ატმოსფერულ ჰაერზე სხვა მავნე ზემოქმედების არასასიკეთო შეხამების შედეგად ცალკეულ რაიონებში საფრთხე ექმნება ადამიანთა ჯანმრთელობას, გარემო ბუნების გაჭუჭყიანების დონეზე დაკვირვებისა და კონტროლის საერთო-სახელმწიფოებრივი სამსახურის ორგანოები ვალდებული არიან ამის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინონ შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, დაინტერესებულ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ასეთი ცნობების მიღებისას დადგენილი წესით გადაჰყავთ მუშაობის სპეციალურ რეჟიმზე ან ღონისძიებანი აჩერებენ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და სატრანსპორტო საშუალებათა მუშაობას იმ მიზნით, რომ შეამცირონ განაფრქვევის ინტენსიურობა და აღმოფხვრან ატმოსფეროზე სხვა მავნე ზემოქმედება, საჭირო შემთხვევებში ახორციელებენ მოსახლეობის დროებით ევაკუაციას და ატარებენ სხვა გადაუდებელ ღონისძიებებს.

მუხლი 54. ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლი

ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა ყველა სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტის და უწყების, სახელმწიფო კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა, აგრეთვე მოქალაქეთა მიერ ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებების შესრულების უზრუნველყოფა. ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა განაფრქვევისა და მასზე მავნე ზემოქმედების პირობების დაცვა. აგრეთვე სხვა წესებისა, რომლებიც დადგენილია კანონმდებლობით ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ.

მუხლი 55. ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის ორგანოები

ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, აგრეთვე სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 56. უწყებრივი კონტროლი ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი

ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი, მათ შორის ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვებ გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა განაფრქვევისა და მასზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების ნორმატივების შესრულებისადმი უწყებრივ კონტროლს ახორციელებენ ორგანოები, რომელთა გამგებლობაშია ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების მომხდენი საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები.

უწყებრივი კონტროლის განხორციელებისას სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები მოვალენი არიან იხელმძღვანელონ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოების მიერ დამტკიცებული წესებითა და ინსტრუქციებით.

კარი V.

ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხთა გამო დავის გადაწყვეტა

მუხლი 57. ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხთა გამო დავის გადაწყვეტის წესი

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე წამოჭრილ ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხთა გამო დავას წყვეტენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე წყვეტს სახალხო დეპუტატთა ერთ-ერთი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით.

ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხებზე დავას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის, რომელთაგან ერთი აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, ან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე იმყოფება, ხოლო მეორე რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე, წყვეტს სახალხო დეპუტატთა ერთ-ერთი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით.

კარი VI.

პასუხისმგებლობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 60. პასუხისმგებლობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის შემდეგ დარღვევებში:

ატმოსფერულ ჰაერში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები განაფრქვევის ნორმატივების გადამეტებაში;

ატმოსფერულ ჰაერზე ზღვრულად დასაშვები მავნე ფიზიკური ზემოქმედების ნორმატივების გადამეტებაში;

ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევაში სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ნებართვის გარეშე;

ატმოსფეროში განაფრქვევის საწმენდი და საკონტროლო ნაგებობების, მოწყობილობისა და აპარატურის ექსპლოატაციის წესების დარღვევაში, აგრეთვე მათ გამოუყენებლობაში;

ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოების, ნაგებობების და სხვა ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემაში, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნებს;

ისეთი ავტომობილების, თვითმფრინავების, გემებისა და სხვა მოძრავი საშუალებებისა და დანადგარების წარმოებისა და ექსპლოატაციაში, რომელთა განაფრქვევაში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა დადგენილ ნორმატივებს აღემატება;

აღმოჩენების, გამოგონებების, რაციონალიზატორული წინადადებების, ახალი ტექნიკური სისტემების, ნივთიერებებისა და მასალების დანერგვაში, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებში ტექნოლოგიური მოწყობილობისა და სხვა ობიექტების შეძენაში, რომლებიც არ აკმაყოფილებენ სსრ კავშირში დადგენილ მოთხოვნებს

ბაშია ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების მომხდენი საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები.

უწყებრივი კონტროლის განხორციელებისას სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები მოვალენი არიან იხელმძღვანელონ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოების მიერ დამტკიცებული წესებითა და ინსტრუქციებით.

კარი V.

ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების სახელმწიფო აღრიცხვა

მუხლი 50. ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების სახელმწიფო აღრიცხვა

ობიექტები, რომლებიც მავნე ზემოქმედებას ახდენენ ატმოსფერულ ჰაერზე, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებებს სახეობები და რაოდენობა, აგრეთვე მასზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების სახეობები და ოდენობა ექვემდებარება სახელმწიფო აღრიცხვას.

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად ობიექტებისა და ატმოსფერულ ჰაერზე მათი მავნე ზემოქმედების სახელმწიფო აღრიცხვა ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

კარი IV.

დაკვირვება და კონტროლი ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში

მუხლი 51. დაკვირვება ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობაზე

ქმიაური, ფიზიკური და ბიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით ატმო

საკავშირო
დედაქალაქის
ზურგზე
სპორტული

ფაქტები მოვლენები

1 ივლისი

საკავშირო და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

დროული მოწოდება

ნიუ-იორკი. **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას და „მსოფლიოს პარლამენტებისა და ხალხებისადმი“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვას კვლავ ფართო რეზონანსი აქვს მსოფლიო საზოგადოებრიობის წრეებში.** აქ ყურადღებას მიაპყრობენ იმ ფაქტს, რომ მიმართვაში წამოყენებული იდეები და წინადადებები შეესაბამება ერთა გაერთიანების წიგნაში დასახულ ძირითად ამოცანებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითად დებულებებს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების მხარდაჭერის შესახებ. ხალხთა დიდი უმრავლესობის გულწრფელ სწრაფვას მშვიდობის, განიარაღებისა და თანამშრომლობისაკენ.

„მსოფლიოს პარლამენტებისა და ხალხებისადმი“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვის სრული ტექსტი გავრცელდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ოფიციალურ დოკუმენტად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვაში გამოთქმული აზრი, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება მშვიდობისა და უშიშროების ყველა აქტუალური საკითხის გარშემო, ამასთან გაითვალისწინოს სხვა სახელმწიფოების კონსტრუქციული იდეები, ყოველმხრივ მოწონებას იმსახურებს, განაცხადა განიარაღების დარგის თვალსაჩინო სპეციალისტმა სტოკჰოლმის მშვიდობის პრობლემათა კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარემ რ. ბიერნსტედმა.

ბირთვულ საუკუნეში, თქვა მან, ეს ერთადერთი გონივრული გზაა სადავო პრობლემების გადასაწყვეტად, უწინარეს ყოვლისა განიარაღების დარგში. მასობრივი მოსპობის სულ უფრო დამანგრეველი სახეობის იარაღის შეუნელებელი დაგროვების პროცესი, რომელიც მსოფლიოში მიმდინარეობს, უკონტროლო ხასიათს იღებს, რაც საფრთხეს უქმნის თვით კაცობრიობის არსებობას. ამ სიტუაციიდან საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად ვიპოვოთ გამოსავალი, აღნიშნა შვედმა მეცნიერმა. რ. ბიერნსტედმა თქვა, რომ საჭიროა განახლდეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება სტრატეგიული შეტევითი იარაღების შეზღუდვის შესახებ, რომელიც როგორც ცნობილია, ჩიხში მოექცა ამერიკის შეერთებული შტატების მიზეზით.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს მოწოდება განსაკუთრებით დროულია, განაცხადა ცნობილმა ჰოლანდიელმა მეცნიერმა, ნიდერლანდების მთავრობის ყოფილმა წევრმა პ. კოიმანსმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვაში წამოყენებული პრობლემები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმათთვის, ვინც დასავლეთ ევროპაში ცხოვრობს და სერიოზულად შეშფოთებულია იქ შეიარაღების უდიდესი არსენალების დაგროვებით. ჩვენ ვიზიარებთ მოწოდებაში გამოთქმულ რწმენას, რომ საჭიროა პლანეტაზე შექმნილი ვითარება მოვაგვაროთ მოლაპარაკების გზით.

საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის კურსს მხარს უჭერენ და იწონებენ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხები, აღნიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის დირექტორმა ე. რედიმ. ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში მოლაპარაკების გზით რთული საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივები გვიკარნახებენ ამ გზების ძიების კონკრეტულ მიმართულებებს.

ჭეშმარიტად აკადემიური

მსახიობებზე ამბობენ, ერთ მშვენიერ დილას სახელგანთქმულები იღვიძებენო. ივნისის ამ დღეებში ასეთი საყოველთაო აღიარება მოიპოვა ორმა ახალგაზრდა ბალერინამ — ნინო ანანიაშვილმა და ალა ხანიაშვილმა.

18 წლის ნინომ, რომელიც მოსკოვში ახლახან დამთავრებული ბალეტის მსახიობთა IV საერთაშორისო კონკურსის ერთ-ერთი ყველაზე ნორჩი მონაწილე იყო, მოიპოვა მცირე ასაკობრივი ჯგუფის კონკურსანტების მთავარი ჯილდო — სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს პრიზი და წარჩინების დიპლომი. ალა ხანიაშვილს მიეწიჭა პირველი პრემია და ოქროს მედალი.

ნინომ და ალამ, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი უკვე პირველ ტურში — თითოეულმა თავის ჯგუფში, წარმატებით დაამთავრეს უძნელესი ორდღიანი შეჯიბრება. მოსკოვის წინა კონკურსის ლაურეატმა იაპონელმა ბალერინამ კუმიკო მაედამ ანანიაშვილზე თქვა: „აღტაცებული ვუყურავდი ტაშს მთელ დარბაზთან ერთად, ვნახე ნიჭიერი ბალერინა, ძალიან ინდივიდუალური, ჩინებულად მომზადებული, ბრავო!“

ნომერი 13, რომელიც ადრე „უიღბლოდ“ ითვლებოდა და არ შეჰქონდათ წილისყრაში, ამჯერად კონკურსანტების თხოვნით დატოვეს და იგი შეხვდა ალა ხანიაშვილს. ალბათ, ამიერიდან ასეთი ბრწყინვალე წარმატების შემდეგ, ბევრი კონკურსის მონაწილე ეცდება ამოიღოს სწორედ ნომერი 13. (კიდევ 13 ციფრის შესახებ: ნინო ანანიაშვილს დიდი წარმატება ხვდა წილად 13 ივნისს პირველ ტურში).

„სულით და ხორცით ბალერინა“, „პოზებისა და მოძრაობის გასაოცარი სინაზე და მუსიკალობა“, „უდიდესი არტისტიზმი“ — ასეთ სიტყვებს გაიგონებდით ალა ხანიაშვილის შესახებ კონკურსის ტურებში მისი გამოსვლების შემდეგ. მაყურებელმა ათჯერ გამოიყვანა იგი სცენაზე მესამე ტურში, არ სურდა განშორება ბალერინასთან, რომელმაც მოაჯადოვა იგი ჩაიკოვსკის „გედის ტბის“ მე-3 მოქმედების უძნელესი პა დე დეს ბრწყინვალე შესრულებით (იური ვასიუჩენკოსთან ერთად).

აი რა თქვა საერთაშორისო ჟიურის წევრმა ,სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა კ. სერგეევმა:

— ალა ხანიაშვილი გვიჩვენებს შესრულების მეტად კარგ მანერას — ჭეშმარიტად აკადემიურს. „კორსარის“ ფიტეტის შესრულებისას პირველ ტურში მან მეტ მოგვახიბლა კლასიკური ფორმის სისადავითა და დახვეწილობით. ვირტუოზულობა და ნამდვილი ოსტატობა გამოავლინა ბალერინამ მეორე ტურში „დონ კიხოტის“ პა დე დეს შესრულებისას, ხოლო ი. სალუსკის მუსიკაზე თანამედროვე ქოროეგრაფიული ნომერი „სონეტი“ (დამდგმელი ვ. უსმანოვი) შეასრულა დიდი გემოვნებით, პლასტიკურობითა და არტისტულობით. ახლა შემიძლია გაგიმხელოთ სიდუმლო და გითხრათ, რომ ჟიური უჩვეულოდ ერთსულოვანი იყო ახალგაზრდა მოცეკვავეებისათვის ოქროს მედლის მინიჭებისას. იგი, უეჭველია, მეტად საინტერესო და ძალზე პერსპექტიული მოცეკვავეა, მომხიბლავი და ტანწერწეტა. ასეთზე იტყვიან ბალერინად არის დაბადებულიო.

ო. ნეზლობინი,
საკადესის კორ.

სურათზე: კონკურსის გამარჯვებულნი (მარცხნიდან მარჯვნივ)— მარგარიტა პერკუნ-ბებეზიჩი, ირინა მუხამედოვი და ალა არტიუშკინა-ხანიაშვილი (ყველა —სსრ კავშირი).

ა. კონკოვის ფოტო (საკადესის ფოტოქრონიკა).

ყურადღება— სისწრაფე!

1 ივლისიდან ეწყობა საკავშირო რეიური „სისწრაფე“. მისი მიზანია გაიუმჯობესოს პირობები ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობისთვის და სიჩქარის რეჟიმების დაცვის კონტროლისათვის, მძღოლებს. გამოუმუშაოს ავტომანქანის მართვის დროს პასუხისმგებლობისა და დისციპლინის გრძნობა.

რეიდის მოსაწყობად ივლისის შერჩევა შემთხვევითი არ არის. მშვენიერი ამინდი, მშრალი ასფალტი, ჩახჩახა მზე — ყოველივე ეს აფრენს მძღოლის ყურადღებას, ქმნის პირობებს სწრაფი მოძრაობისათვის. ეს კი ხშირად უბედურებას იწვევს.

რეიდი „სისწრაფე“ ოც დღეს გასტანს. ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკები, რაზმელები, ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრები განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ იმას, თუ როგორ იცავენ სიჩქარის დადგენილ რეჟიმებს. ამისათვის ფართოდ გამოიყენებენ სიჩქარისაზომებს, სახელმწიფო ავტოინსპექციის საპატრულო ვერტმფრენავებსა და მანქანებს.

თითოეული მძღოლის მოვალეობაა საჭესთან დისციპლინირებისა და თავაზიანობის მაგალითი იყოს.

(საკადესი).

● ● მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის

მგზავრებს, რომლებიც ბათუმიდან ბორჯომში წასვლას დააპირებენ, ამიერიდან ხაშურის „სადგურზე გადაჯდომა აღარ მოუწევთ.

30 ივნისიდან 610 ბათუმ-თბილისის მატარებლის შემდგენლობას დაემატა ბათუმ-ბორჯომის ორი პირდაპირი ვაგონი. ამ ვაგონებს დანიშნულებისამებრ მიიყვანს და ხაშურში უკან წამოიყვანს დამატებითი მატარებელი 620/619 ხაშურ-ბორჯომი.

ბათუმ-ბორჯომის პირდაპირი ვაგონები ივლის ყოველდღიურად,30 აგვისტომდე.

მგზავრთა უკეთ მომსახურებისათვის დანიშნულია აგრეთვე პირდაპირი ვაგონი ბორჯომ-ტფილა. (საქინფორმი).

არმან ფოლრელი: მშვიდობისათვის ბრძოლაა საჭირო!

დამთავრდა შვეიცარიის დღეები საქართველოში

30 ივნისს „შვეიცარია-სსრ კავშირის“ ასოციაციის დელეგაცია, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში გამართულ დღეებში მონაწილეობდა, სამშობლოში გაემგზავრა.

გამგზავრების წინ დელეგაციის ხელმძღვანელმა დოქტორმა არმან ფორელმა ინტერვიუ მისცა საქინფორმის კორესპონდენტს:

ჩვენი ჩამოსვლა თქვენს ქვეყანაში დაემთხვა დროს, როცა გაიმართა საბჭოთა პარლამენტის სხდომა და როცა გაისმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა მსოფლიოს პარლამენტებისა და ხალხებისადმი. ეს დროული, მეტად საჭირო უდიდესი ძალის დოკუმენტია. ფაშიზმის მიერ გაჩაღებულმა მეორე მსოფლიო ომმა აუოცახელი უბედურება მოუტანა კაცობრიობას. საბჭოთა ხალხმა, რომელმაც ოცი მილიონი საუკეთესო მამულიშვილი დაკარგა მიხაკისფერი ჭირისაგან პლანეტის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, კვლავ დაამტკიცა, რომ ერთგულია მშვიდობის საქმისა, კიდევ ერთხელ დაბეჯითებით გააფრთხილა ხალხები, რომ შეიქმნა ახალი მსოფლიო ომის საფრთხე.

არ ვიცი ამ მიმართვის შთამბეჭდავ სიტყვებს დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის პარლამენტების პოლიტიკოსები ყურად იღებენ თუ ჩვეულებისამებრ წაუყრუებენ, მაგრამ ერთი კი ცხადია — მიმართვა ღრმა გამოძახილს პოვებს ყველა პატიოსანი ადამიანის გულში, ვინაიდან მთლიანად შეესაბამება მათს გრძნობებსა და იმედებს.

დიახ, დღეს არ კმარა ილაპარაკო მშვიდობაზე, მშვიდობისათვის ბრძოლაა საჭირო! ამიტომ ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით საბჭოთა პარლამენტის მიმართვას და გვინდა აღგითქვათ, რომ მას მხარს დაუჭერს შვეიცარიელი ხალხიც.

ოფიციალურად შვეიცარია ნეიტრალური ქვეყანაა, მაგრამ ჩვენი ხალხი ვერ იქნება ნეიტრალური მშვიდობისა და ომის საკითხებში. ამიტომ მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ ჩვენი ქვეყნის გარშემო ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების გეგმების წინააღმდეგ — ცენტრალური ევროპა კვლავ დღეთის ,ასრად არ უნდა იქცეს. ამავე მიზეზით, ნეიტრალური ვერ ვიქნებით მშვიდობის დაცვის შესახებ სსრ კავშირის ახალი მოწოდებისადმი — ჩვენ მხარს ვუჭერთ მას!

მეცნიერთა შეხვედრები

შედეგები და პერსპექტივები

ბათუმი. **(ხაკ. კორ.).** ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტმა გამართა სამეცნიერო სესია.

სესიაზე მოხსენებები წაიკითხეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა ნ. ვეკუამ და გ. ჭოღოშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ბ. ხვედელიძემ, პროფესორებმა დ. ბალაძემ და შ. ქემნაძემ, მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ო. სურმანიძემ და სხვებმა.

„კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში აკადემიკოსმა ნ. ვეკუამ თქვა, რომ ქართველ მათემატიკოსთა ახლანდელი შეკრების ადგილად შემთხვევით რომ აიურჩევიათ ბათუმი. უკანასკნელ ხანს აქაურმა მათემატიკოსებმა თავიანთი გამოკვლევებით ყურადღება მიიპყრეს. ისინი ნაყოფიერად თანამშრომლობენ რესპუბლიკის დედაქალაქის სამეცნიერო დაწესებულებებთან და თვალსაჩინო მეცნიერებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია აკადემიკოს გ. ჭოღოშვილის ყურადღება და დახმარება ბათუმელი კოლეგების მიმართ, ახალგაზრდებთან მისი მოწადინებული გარჯა.

ჩვენი ახლანდელი სამეცნიერო სესია თანამედროვე აქტუალურ მათემატიკურ პრობლემებს განიხილავდა. მან ერთგვარად შეაჯამა დიდი და სახელოვანი გზა, რომელიც ქართულმა მათემატიკურმა სკოლამ საბჭოთა ხელისუფლების 60 წლის მანძილზე განვლო. ჩვენი ტრადიციები, ქართული მათემატიკური სკოლა საქვეყნოდ არის ცნობილი, და გვჯერა, ჩვენი შეკრება შეგვიწყობს ხელს, რათა კიდევ უფრო განვავითაროთ ტრადიციები, გავაფართოვოთ მეცნიერული კვლევის ასპარეზი.

სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ ახლო მომავლისათვის უკეთესი პერსპექტივები ისახება ბათუმელ მათემატიკოსთა წინაშე. განზრახული გვაქვს, ბათუმში გავხსნათ ჩვენი ინსტიტუტის განყოფილება, რაც, უდავოდ, დიდ სარგებლობას მოუტანს მთელ ჩვენს საქმეს, დასახული მიზნების წარმატებით განხორციელებას.

სიგელი იურიდიულ კონსულტაციას

ტყიბული. **(ხაკ. კორ.).** რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსში ქალაქის იურიდიული კონსულტაცია კვლავ გამარჯვებული გამოვიდა და მეექვსედ მიენიჭა პირველი საპრიზო ადგილი.

ახლახან აქ მოსკოვიდან კიდევ ერთი სასიხარული ცნობა მიიღეს — სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს კოლეგიისა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საკავშირო კომიტეტის ერთობლივი დადგენილებით, ტყიბულის იურიდიული კონსულტაცია კავშირის მასშტაბით საუკეთესოდ ცნეს და მისი კოლექტივი (გამგე — ო. ო. ჩაკვეტაძე). სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს სპატიო სიგელით დაჯილდოდა.

ახალმოსახლეობა

ყვარელი. **(ხაკ. კორ.).** კიდევ ერთმა მრავალსართულიანმა შენობამ დაამშვენა ყვარელი. „ქიბიმარაულის“ მექანიზაციის საბჭოთა მეურნეობამ თავისი მუშაკებისათვის აიგო საცხოვრებელი სახლი, რომელშიც ბინა დაიდო სამოცმა ოჯახმა.

ყაზახეთი
ალმა-ათა

ფეხბურთის მინდვრებზე

გუშინ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის პირველი და მეორე ნაკრები გუნდების საკონტროლო შეხვედრა.

თითქმის მთელი შეხვედრა მეორე ნაკრების მნიშვნელოვანი უპირატესობით წარიმართა. თამაშის დაწყებიდან სამი წუთიც არ იყო გასული, რომ ბალის ზუსტი გადაცემა დიდებულად გამოიყენა შავლომ და პირველი ნაკრების კარი აიღო. შესვენებამდეც და მის მერეც მეორე ნაკრების წევრებს დაწინაურების რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ. ერთ-ერთი მათგანის რეალიზაცია თამაშის 52-ე წუთზე შეძლო პონომარიოვმა და ანგარიში გაზარდა — 2:0. 64-ე წუთზე ბესონოვმა ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ პონომარიოვმა, ამჯერად უკვე 11-მეტრიანი საჯარიმო ზუსტად გამოიყენა და ანგარიში გახდა 3:1 (მე-80 წუთზე) მეორე ნაკრების სასარგებლოდ. მატჩის მიწურულს ოჰანესიანმა გაიტანა გოლი. მეორე ნაკრებმა გაიმარჯვა — 3:2.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: **პირველი ნაკრები** — დასაევი, სულაქველიძე (საჩნოვი), ჩივაძე, ბოროვსკი, ბალტაჩა, ბურიაკი, ანდრეევი, ბესონოვი, გავრილოვი, ოჰანესიანი, ბლოხინი; **მეორე ნაკრები** — ჩანოვი, კრუგლოვი, ანდრიუშენკო, სულოკაროვი, დემიანენკო, შავლო (როდენკო), ზაგაროვი, ბალი, პონომარიოვი, ჩერენკოვი, როდიონოვი. ყიფიანი შეუძლოდ იყო და ამიტომ არ უთამაშია.

პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეცხრამეტე ტურის მატჩი ქუთაისის „ტორპედომ“ სმოლენსკის „ისკრას“ რომ მოუგო (1:0), მკითხველმა უკვე იცის, რაც შეეხება ლანჩხუთის „გურიას“, იგი მინ დამარცხდა ვილნიუსის „ჟალგირისთან“ — 1:2, ცხრამეტი ტურის. შემდეგ გათამაშების ცხრილში პირველ შვიდ ადგილზე გუნდები ასე არიან განლაგებული (მაგალ ოდესის „სპარტაკს“ 20 მატჩი აქვს გამართული, დანარჩენებს—19-19): ხარკოვის „მეტალისტი“ — 27 ქულა, ქუთაისის „ტორპედო“ — 24, ოდესის ასკ- — 24, ნიკოპოლის „კოლსი“ — 23, სმოლენსკის „ისკრა“, მოსკოვის „ლოკომოტივი“ და კიშინიოვის „ნისტრუ“ — 22-22 ქულა. ლანჩხუთის „გურიას“ 18 ქულა აქვს და სხვა გუნდებთან ერთად მეთერთმეტე-მეთექვსმეტე ადგილებს იგაწლილებს.

როგორც ბუენოს-აირესში გამოცხადდა, მსოფლიოს ჩემპიონი — არგენტინის ნაკრები ევროპაში მიემგზავრება, 22 აგვისტოს იგი „ვალენსიას“ შეხვდება, 25 აგვისტოს — „ჰერკულესს“ (ალიკანტე), 1 სექტემბერს — ესპანეთის თასის მფლობელ „ბარსელონას“, წლის ბოლომდე არგენტინელები ორ მატჩს ,გამართავენ ნაკრები გუნდების დონეზე: 28 ოქტომბერს ისინი პოლონელებს მიიღებენ, 11 ნოემბერს კი ჩეხოსლოვაკიელებს. ორივე შეხვედრა ბუენოს-აირესში გაიმართება.

საბურნირო ორბიტა

ბადრაკი. ქალაქ ჰალეში (გდრ) დამთავრდა ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდა ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი თბილისელი ნანა ალექსანდრია. მან საბოლოოდ 6 ქულა დააგროვა. 10 ქულით პირველ ადგილს დაეუფლა დიდოსტატი ვ. ულმანი (გდრ), მეორე ადგილზე გამოვიდა ლ. ფოგთი (გდრ) — 9 ქულა, მესამეზე —ვ. ჩეხოვი (სსრ კავშირი) — 7,5.

ველოსპორტი. ქალაქ მაინის ფრანკფურტის ტრეკზე გამართულ 4 კილომეტრზე ეროვნულებით გუნდურ რბოლაში ევროპის თასს დაეუფლა სსრ კავშირის ნაკრები, რომელიც ლენინგრადელებით იყო დაკომპლექტებული (ვ. მანაკოვი, ა. კრასნოვი, ა. კულიკოვი და ი. პეტროვი).

ცურვა. ჟენევაში გამართულ საერთაშორისო ასპარეზობაში თავი ისახელა სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ლენინგრადელმა ვლადიმერ სალნიკოვმა. მან აქ სამ დისტანციაზე (400 მეტრზე კომპლექსურ, აგრეთვე 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით) ცურვაში გაიმარჯვა.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

2 ივლისი

პირველი პროგრამა: 09.00 — „ვრეგია“ (ბ.), 09.40 — დილის ვარჯიში (ბ.), 10.05 — „მოამბე“, 10.35 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნიკოლოზ კუზნეცოვი“, 11.35 — კ. გამსახურდია. „ვაზის ყვავილობა“. მრავალსერიანი საგელევიზიო ვიდეოფილმი. მეორე სერია (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 12.45 — მულტიპლიკაციური ფილმი „ბურიონუშკა“, 13.00 — ტელეკურსი ფიზიკაში, 13.30 — ბიბლიოთეკა თათვის — ბიოლოგია, 17.00 — ბავშვებისათვის — კინოპროგრამა: „ჩემი არდადეგები, „ბაყაყი და ციყლავაილი“, 17.55 — „ადამიანი და გარემო“, 18.30 — „ახალგაზრდობისათვის — „შენნი იწყება მამული“, 19.45 — „ღელე მსოფლიოში“ (ბ.), 20.00 — „მოამბე“, 20.30 — კ. გამსახურდია. „ვაზის ყვავილობა“. მრავალსერიანი საგელევიზიო ვიდეოფილმი. მეოთხე სერია. პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 21.40 — უფროსებისათვის — მულტიპლიკაციური ფილმი „სპილენძის მთების დიასახლისი“, 22.00 — „ვრეგია“ (ბ.), 22.35 — პროგრამა „შრომითი სეზონების მონაწილეთათვის: 1. კონცერტი, „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 2. ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გოლა“, 23.45 — „მოამბე“.

მეორე პროგრამა: 18.10 — მულტიპლიკაციური ფილმი „როგორ მიჰქონდათ მაგიდა“, 18.20 — განცხადებები, 18.25 — მხატვრული ფილმი „ეფი ბრისტი“.

კონკურსი

აკადემიკოს

თეოფანე დავითაიას

სახელობის პრემიის

მოსაკოვებლად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 8 ივნისის დადგენილებით დაწესებული „**გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის თეოფანე დავითაიას სახელობის პრემია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენების დარგში თვალსაჩინო სამეცნიერო და პრაქტიკული სახეობის ნამუშევრებისათვის.**

1981 წელს თეოფანე დავითაიას სახელობის პრემია 1000 მანეთის ოდენობით მიენიჭება უკანასკნელი სამი წლის მანძილზე შექმნილ საუკეთესო ნამუშევარს.

პრემიის მოსაპოვებლად ნამუშევართა წარმოდგენა ხდება სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, ბუნების დაცვის სამსახურების, სამეცნიერო-საპროექტო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების სათანადო რეკომენდაციებით.

საკონკურსო ნამუშევარი უნდა წარმოადგინონ სამ ცალად და დაერთონ დასაბუთებული დახასიათება, რომელიც უნდა შეიცავდეს ნამუშევართა მეცნიერულ შეფასებას და განმარტავდეს თუ რა მნიშვნელობა აქვს მას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საქმისათვის.

საკონკურსო მასალები უნდა წარედგინოს საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკურ გამგეობას 1981 წლის 1 ოქტომბრამდე.

ნამუშევართა პრემიაზე წარდგენის და მასალების გაფორმების თაობაზე დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ თ. დავითაიას სახელობის პრემიის კომიხიას.

ᲘᲜᲓᲘᲡᲛᲐᲠᲗᲘ: 380018, თბილისი, რუსთაველის პრ., 8, მთავრობის სახლი, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, ოთახი 31. ტელ. 99-09-66.

თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1981-1982 სასწავლო წლისათვის დღისა და საღამოს სწავლების განყოფილებების შემდეგ სპეციალობებზე

ა) დღის სწავლების განყოფილებაზე:

1. მათემატიკა-ფიზიკა;

2. რუსული ენა და ლიტერატურა;

3. ისტორია;

4. დაწყებითი სამხედრო მომზადება და ფიზიკური აღზრდა (ქართული და რუსული სექტორი);

5. ფიზიკური აღზრდა.

ბ) საღამოს სწავლების განყოფილებაზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა;

2. მათემატიკა.

შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ საგნებში:

მათემატიკა-ფიზიკისა და მათემატიკის სპეციალობებზე: მათემატიკა (წერა*, ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა*, ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი).

რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე — რუსული ენა (წერა*, ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი).

ისტორიის სპეციალობაზე: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი*), უცხო ენა (ზეპირი).

დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზიკური აღზრდის სპეციალობაზე: 1. საერთო ფიზიკური მომზადება* (ცურვა, მძლეოსნობა და ტანვარჯიში); 2. ქიმია (ზეპირი); 3. ბიოლოგია (ზეპირი); 4. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა) —ქართულ სექტორზე; რუსული ენა და ლიტერატურა (წერა) — რუსულ სექტორზე.

ფიზიკური აღზრდის სპეციალობაზე: 1. საერთო ფიზიკური მომზადება* (ცურვა, მძლეოსნობა და ტანვარჯიში); 2. ქიმია (ზეპირი); 3. ბიოლოგია (ზეპირი); 4. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

შენიშვნა: ა) დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზიკური აღზრდის სპეციალობაზე მიიღებიან მხოლოდ 18-25 წლის ასაკის ვაჟები, რომელთაც აქვთ საშუალო განათლება, გაიარეს საგალდებულო სამხედრო სამსახური და წარმოადგინეს სამხედრო კომისარიატის ან სამხედრო ნაწილის მიერ გაცემული სათანადო შუამდგომლობა. ბ) ოქროს (ვერცხლის) medal-ით საშუალო სკოლადამთავრებულნი ან საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, გამოცდას აბარებენ მხოლოდ სპეციალურ საგანში, რომელიც აღნიშნულია ვარსკვლავით, ისინი, ვინც გამოცდას „ბუთზე“ ჩააბარებს, მისაღები გამოცდების სხვა საგნების ჩაბარებისაგან თავისუფლდებიან.

უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელებმა განცხადება უნდა შემოიტანონ რექტორის სახელზე (დადგენილი ფორმით) და დაერთონ შემდეგი სამუშაოები: საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს ჩაბარებული საგნების შესახებ; დახასიათება უკანასკნელ სამუშაო ადგილიდან (აღნიშნული უნდა იყოს თარიღი), რომელსაც აძლევენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა გამგეობები (დახასიათება დამოწმებული უნდა იყოს სამი ხელმოწერით), იმ პირებს, რომელთაც არა აქვთ ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, შეუძლიათ წარმოადგინონ დახასიათება, რომლებსაც გასცემენ იმ სკოლებისა და სხვა სასწავლებლების ხელმძღვანელები, სადაც ისინი სწავლობდნენ; სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); ხუთი ფოტოსურათი (უქუდოდ, ზომა 3X4); ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი), რომელიც დამოწმებულია საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ; კოლმეურნეთათვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, რომელიც დამოწმებულია კოლმეურნეობის ,გმგეობის მიერ და აღნიშნულია კოლმეურნეობისათვის კალენდარულ წელზე დაწესებული შრომადღეების მინიმუმი; მიღების წესების თანახმად, დღის განყოფილებაზე შემსვლელ პირს, რომელიც მისაღებ გამოცდებს საშუალო სკოლის დამთავრების წელს არ აბარებს, მოეთხოვება სულ ცოტა 6 თვის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი ყოველი იმ წლისათვის, როცა არ სწავლობდა. აღნიშნული სტაჟის დასაბუთებულად უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს აგრეთვე ამონაწერი შრომის წიგნაკიდან; თუ სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელი შრომითს საქმიანობას საპატიო მიზეზით არ ეწეოდა, ამის დასადასტურებლად უნდა წარმოადგინოს სათანადო საბუთი.

შენიშვნა: შრომითი საქმიანობის საბუთიდან ამონაწერს უნდა ჰქონდეს საწარმოს, დაწესებულების ან კოლმეურნეობის კუთხური შტამპი და ნაჩვენები უნდა იყოს გაცემის თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი.

პასპორტსა და სამხედრო ბილეთს (მიწერის მოწმობას) უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელი პირადად წარმოადგენს.

განცხადება მიიღება 31 ივლისამდე (ჩათვლით) ყოველდღე, გარდა კვირისა, 10-დან 16 საათამდე.

კონსულტაციები ყველა საგამოცდო საგნში იწარმოებს 15 ივლისიდან.

მისაღები გამოცდები მოეწყობა 1-დან 20 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღები კომისიის ცნობათა ბიუროში (თელავი, წრიული ქ. № 1, თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი).

მიმღები კომისია

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 УЭ 08042 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბე